კვირა, 7 ნოემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 7 ნოემბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | . . 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | . . 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | . . 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | . . 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | . . 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | . . 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | . . 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | . . 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | . . 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | . . 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | . . 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | . . 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 255 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 255

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გაზეთი

„ივერია"

1-ლ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს 2 მან. 75 კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—27).

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 5.

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 10 ნოემბერს 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად

I

ახალი პიესა

**ივდითი**

ტრაგ. 5 მოქმ., თხზ. ჯიაკომეტისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.

II

ახალი პიესა

**ნაპერწკალი**

კომედ. 2 მოქმ., თხზ. პალიერონისა, თარგ. ა. ახნაზაროვისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, ნატალია მესხი, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვალ. გუნია, ივანიძე, საფაროვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, წუწუნავა და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

მზადდება წარმოსადგენად: «იულიოს კეისარი», «მედეია», «ერნანი» და სხვ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

კვირას, 7 ნოემბერს,

წარმოდგენილი იქნება

I

M-lle **ფიფი**

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ც. კიუისა.

II

**ფაუსტი**

ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა გუნოსი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ორელი, ნიკიტსკაია, ტულლერი, მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, რიბაკოვი, კომაროვი, ობრაზცოვი, პოლუიანოვი, პორუბუნოვსკი, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 8 ნოემბერს,

ა. გ. რუბინშტეინის გარდაცვალების დღიდგან ათის წლის შესრულების გამო, ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქმნება

**ნერონი**

ოპერა 4 მოქ. 6 სურ. მუსიკა რუბინშტეინისა.,

სამშაბათს, 9 ნოემბერს,

ტფ. დედათა მე-2 გიმნაზიის ღარიბ მოწაფე ქალთა სასარგებლოდ,

წარმოდგენილი იქმნება

**გუგენოტები**

ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა მეიერბერისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «ფენელლი», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ობერისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 7 საათ.

**ხ. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ჟორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

—

იყვნენ თუ არა იაპონიის ნაღმოსნები ჩრდილო ზღვაზედ? „მოსკოვ. ვედ."-ი გატაცებით ამტკიცებს, რომ ჩვენს ესკადრას ნამდვილად იაპონიის ნაღმოსნები დაუხვდნენ გზაში და მოუნდომეს დაზარალებაო. ინგლისი იმიტომ დათანხმდა გამოძიებულიყო ეს საქმე, რომ სხვა ველარა აწამა-რა. გაჩნდნენ იმისთანა მოწმენი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ნამდვილად იაპონიის ნაღმოსნები ვნახეთო. გაზეთებმაც დაიწყეს ლაპარაკი იმაზედ, თუ რა ამბავი ჰქონდათ გოლლში იაპონელებს, როცა გაიგეს, რომ ბალტიის ესკადრა უნდა გამოვიდეს ლიბავიდანაო. ზოგს აუხირია, რომ იაპონიიდან ნაღმოსნები როგორ წამოვიდნენ ამოდენა მანძილზეო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ნაღმოსნების იაპონიიდან წამოსვლა სრულებით საჭირო არ იყო. თვით ინგლისი მიჰყიდდა, რამდენიც ჰნებავდა. იყო კიდეც გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, რომ ის ნაღმოსნები, რომლებსაც რუსებსა ჰყიდნენ ინგლისელნი, მერე იაპონელებმა იყიდესო. (მ. ვ).

—

სტესსელის მეუღლე. ვერა სტესელის გულ-მაგრობა და თან გულჩვილობაც სწორედ გასაკვირველია. თან ჰმოწმობს, რომ ჯერ პორტ-არტურს ძრიელ არ გასჭირვებია. «ნ. კრაი»-ში 1 სეკდემბრის თარიღით სწერია, რომ სტესსელის მეუღლემ შეადგინა კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს იმ ჰრილობით გახეიბრებულთათვის, ვისაც თავის შრომით ლუკმა-პურის მოპოვება აღარ შეეძლება ომის შემდეგ. ზოგს თურმე ფეხები აქვთ მოჰრილი, ზოგს ხელები, ზოგს ცალი ხელი და ფეხი აკლია, ზოგს თვალები აქვს დამდგარი და დავსებული, ზოგს ხერხემალში მოჰხვედრია ყუმბარა და სამუდამოდ დასაპყარებულა. აი მათთვის აგროვებს შეწირულებას ვ. სტესელის მიერ შემდგარი კომიტეტი, მაგრამ რადგან პორტ-არტურში ბევრი არა შეგროვდება-რა, მოსკოვში მიუწერია წერილი 11 სეკდემბრის თარიღით, მანდ დაგვეხმარეთ, მდიდრებს შორის შეაგროვეთ რამე ამ საწყლებისათვისაო. გათავდება ომი და ვნახავთ ერთმანეთს მოსკოვშიო, გულ-დამშვიდებით სწერს სტესელის მეუღლე თავის ნაცნობს ქალს. (მ. ვ.).

—

რა არის მიზეზი ამოდენა სისხლის ღვრისა და რისთვის იბრძვის იაპონია? დ-რი დაიჯი იშიკავა ამბობს, რომ ტყუილად უძრახვენ იაპონელთ, ქრისტეანობის მტრები არიანო. ჩვენში ყველა სარწმუნოება შეწყნარებულია და თავისუფლად შეუძლიან ილოცოს ყველამ, რაც უნდა და როგორც უნდა, და აღიაროს რომელი სარწმუნოებაცა სურს. რუსეთთან ომი იმიტომ კი არ გაჩნდა, რომ ვითომ რელიგია იყოს მიზეზი. როგორც ჩვენებურმა ქრისტიანებმა (მრავალი ქრისტიანეა აქ) ისე ბუდას მიმდევართ ერთ-ხმად გადასწყვიტეს ამოიწონ მახვილი სისხლის საღვრელად და ალაგმონ პოლიტიკა მოხვეჭისა და მობოჭვისა. ეს ომი, რომელშიაც ჩვენ ჩავებით, აუცილებელი იყო; უიმისოდ მშვიდობა და არსებობა იაპონიისა განსაცდელში ჩავარდებოდა. დღევანდელი ომი არც ტომობრივ-მოდგმებრივია და არც სარწმუნოებრივი. ეგ ბრძოლა უფრო კულტურისათვისაა, „Kulturkampf"-ია. დღეს ბრძოლაა უფლებასა და თვით-ნებობას შორის, ადამიანობასა და უადამიანობის შორის, თავისუფლებასა და ყმობას შორის, კულტურასა და ბარბაროსობას შორის! თუ იაპონია გაიმარჯვებს, ეგ იქმნება გამარჯვება კულტურისა, ევროპიულის კულტურისა. დამარცხება რუსეთისა იქმნება დასაწყისი იმ დაბალის კულტურის დამარცხებისა, რომელიც ამ დამარცხების წყალობით გამოკეთდება და ამაღლდება, სისხლით განბანილი. ჩვენ, იაპონელებს არავითარი სიძულვილი არა გვაქვს რუსეთის ერისადმი და მოხარულნი ვიქნებით მხოლოდ, თუ კი აღორძინებისა და აღყვავების გზას დაადგება მისი ცხოვრება. იაპონიის გაზეთებში ასეთს წინადადებას შეხვდებით: იაპონიის გამარჯვება არა მარტო ჩვენი ხსნა და სიკეთეა, არამედ მთელის ქვეყნის სიკეთეცაა, სხვათა შორის, რუსეთისაც. რუსეთი განიცდის რა დამარცხებას, მაშინ მაინც გადაიქცევა კულტურულ სახელმწიფოდაო.

## ახალი ამბავი

—

**ქ. ა. ვერმიშევის ცენზი.** გუშინ-წინ, 5 ნოემბერს, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ცნობები ქრ. ა. ვერმიშევის ქონებრივ ცენზისა. როგორც ვიცით, ქრ. ა. ვერმიშევი ტფ. ქალაქის საბჭომ 11 ოკდომბერს ქალაქის მოურავად აარჩია. როგორც აღმოჩნდა, ვერმიშევს ჰქონია ქალაქის მოურავის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება საავეკუნო ცენზით, ხოლო ეს ცენზი შეუძენია მხოლოდ 6 ოკდომბერს, ე. ი. არჩევნების მოხდენამდე 5 დღის წინად. ამ დღეს ტფ. საობლო სასამართლოს აპეკუნობიდგან გაუნთავისუფლებია ქვრივი ალათია დათუნაშვილისა, რომელიც მანამდე განსვენებულ იაგორ დათუნაშვილის ქონებისა და სამის მცირე-წლოვანის ობლის აპეკუნად ყოფილა, და მის მაგივრად დაუნიშნავს ქ. ა. ვერმიშევი. ამავე დღეს საობლო სასამართლოს არტემ ჰარამიანცის (იგივე ყარალოვი) ქონებათა აპეკუნობიდგან გაუნთავისუფლებია საბჭოს ხმოსანი ლ. თ. ტიგრანოვი და მის მაგივრად დაუნიშნავს ქრ. ა. ვერმიშევი.

*** **შორეულ აღმოსავლეთს წავიდნენ:** მანჯურიის მეორე ლაშქრის სამხედრო-სამოსამართლო ნაწილში სხვა და სხვა თანამდებობაზედ დანიშნულნი, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს მსაჯული გენერალ-მაიორი რატინსკი და ამავე-სასამართლოს მდივნის თანაშემწე ე. ს. ელიოზიშვილი. ორივენი უკვე გაემგზავრნენ ტფილისიდგან ხარბინს.

*** **საეჭვო ავადმყოფობა.** 5 ნოემბერს, ღამით, ტფილისში ორი კაცი გახდა ავად სტომაქის მოშლით. ერთი ავადმყოფთაგანი ბაიაზეთიდგან მოსული სომეხია, გვარად მანუელოვი, ხოლო მეორე—ტფილისელ მეეტლე მალაკნის ცოლი. ეს უკანასკნელი უკვე გარდაიცვალა. ამ ავადმყოფობას დაწვრილებით იკვლევს სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორია.

*** **კოლექტიური განცხადება.** გუშინ, 6 ნოემბერს, რაკეტის ვიწრო ქუჩის მცხოვრებთ ქალაქის გამგეობის წარუდგინეს კოლექტიური განცხადება, სადაც ნათქვამია,—სამხედრო საინჟენერო უწყება რაღაც შენობას აგებას შეუდგა ჩვენის ქუჩის კუთხეში—არტილერიის ბალკაში—და იმდენი ხრეში და სხვა და სხვა მასალები დაჰყარ, რომ გავლა შეუძლებელი გახდაო. როგორც შეკრებილ ცნობებიდგან აღმოჩნდა, სამხედრო-საინჟენერო უწყებას ეს შენობა ქალაქის გამგეობის ნება-დაურთველად დაუწყია და არც უცნობებიათ მისთვის. ამის გამო ქალაქის გამგეობას გუშინვე შეუთვლია საინჟენერო უწყებისათვის, შეაჩერეთ ამ შენობის აგება მანამდე, სანამ ფასადის გეგმას ქალაქის ტეხნიკოსი და სამხედრო-საინჟენერო უწყების წარმომადგენელი დაათვალიერებდესო.

*** **ტფ. სახლების ნუმერაცია.** გუშინ, 6 ნოემბერს, კრება ჰქონდა ტფ. ქალაქის გამგეობას ტფ. პოლიცმეისტრის თანადასწრებით სახლების ნუმერაციის შემოღების თაობაზედ. კრებამ მოიწონა ბ-ნთ დუბელირისა და ვეჩსაიზერისაგან წარმოდგენილი ნიმუშები ცინკის პლაკატებისა, რომელიც სახლებს უნდა აკრან. ვეჩსაიზერი და დუბელირი მოვალენი არიან 1½ წლის განმავლობაში მოამზადონ 18,000 ცალი პლაკატი, თითო 85 კაპ.; თვითონ პლაკატი უნდა იყოს თეთრის ფერისა და ზედ შავის ასოებით უნდა ეწეროს: სახლის ნომერი, ქუჩის სახელი, პოლიციის ნაწილი და სახლის პატრონის ვინაობა. ამ პლაკატებს ქალაქი გაჰყიდის პოლიციის საშუალებით.

*** **სატრაქტირო გარდასახადთა გაწერა.** ქალაქის გამგეობამ უკვე გააწერა სატრაქტირო გარდასახადი 1905 წლისათვის ტრაქტირ-დუქნების პატრონთ. სულ გაწერილია: ტრაქტირებზედ—17,110 მან., დუქნებზედ—23,880 მან., სასტუმროებზედ—6,840 მან., რესტორანებზედ—2,200 მან., ბუფეტებზედ—3,420 მან., ღვინის სარდაფებზედ—500 მან. ღვინო-არაყის სარდაფებზედ – 9,500 მან. ლუდხანებზედ 750 მან., მორთულ ოთახებზედ სასადილოებითურთ—1,000 მ. ყავახანებსა, საჩაიებსა და სხვ.—1,800 მან., საკანდიტეროებს—1,400 მან., სანოვაგის საწვრილმანო დუქნებს—800 მ. და თავშესაფარ ეზოებს—800 მან.

*** **ახალი დამხმარებელი კასა.** ტფ. მოქალაქეთა საზოგადოების მამასახლისის თაოსნობით, მოქალაქეთა საზოგადოებასთან განზრახულია დაარსება დამხმარებელ კასისა, რომელსაც აზრად ექმნება შემწეობა აღმოუჩინოს იმ ღარიბ მოქალაქეთა შვილებს, რომელნიც ტფილისის სხვა და სხვა სასწავლებლებში სწავლობენ.

*** **საეჭვო ხოლერით ავადმყოფნი.** სადგურ განჯაში საეჭვო ხოლერით ავად გამხდარა ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი სადგურისა ნიკიფორე კოტრიჩი. ავადმყოფი მოუთავსებიათ საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის მოწყობილს ვაგონში და თვალ-ყურსადევნებენ. სადგ. აქსტაფიდგანაც იუწყებიან, რომ ძეგამის ნავთის მილის სადგურიდგან სასანიტარო ვაგონით იქ ჩამოუყვანიათ საეჭვო ხოლერით ავადმყოფი მუშა სერგო ებანოიძე, რომელიც განჯაში გაუგზავნიათ ხოლერის ბარაკში.

*** **ხოლერა ბაქოში.** ხოლერის გაჩენის პირველ დღიდან, ე. ი. 15 აგვისტოდგან 25 ოკდომბრამდე, ბაქოში სულ ავად გახდარა 411 კაცი, მათ შორის 19 საეჭვო ხოლერიანად იქმნა ცნობილი. დანარჩენ 392-დგან 142 კაცი იყო და 250 ქალი. ხოლერის ბარაკებში სწამლობდნენ 89 კაცს, ხოლო დანარჩენ 303 ავადმყოფს კი სახლში სწამლობდნენ. ხოლერის ბარაკებში გარდაცვლილა ავადმყოფთა

55%, ხოლო სახლში—69%; სულ ორივე სქესის ავადმყოფთაგან გარდაცვლილა 66%. ხოლერის ბარაკებში მორჩენილა 32,6%, ხოლო სახლში—25,4%. დანარჩენის 7% ბედი ჯერ გამოურკვეველია.

*** ტფ. ფოსტა-ტელეგრ. ოლქის უფროსმა სთხოვა ტფ. გუბერნატორს, ეხლავე ჩაიბაროს ხაზინამ საყარაულოს (თიანეთის მაზრა) საფოსტო სადგური, ვიდრე სხვა ვინმე აიღებდესო, რადგანაც ეხლანდელმა იჯარადარმა ქუთათელაძემ სულ აურ-დაურია ფოსტის საქმეებიო.

*** საკლავ საქონლის სიძვირე. როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისის ბაზრებზედ საკლავი საქონელი საგრძნობლად გაძვირებულა, ასე რომ ერთი ფუთი ხორცი ეხლა წინანდელზედ ორი შაურით მეტად ჰფასობს.

*** ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახალი სომხური წიგნაკი «მთვარიან ღამეს», ია ეკალაძისა, თარგმანი ღ. კ.-სი. წიგნაკი შეიცავს 18 გვ. და ჰღირს ერთ შაურად. თუ არ ვსცდებით, ეკალაძის ნაწარმოებთაგან სომხურს ენაზედ ეს გადათარგმ პირველი ცდა უნდა იყოს.

*** აბანოს უქონლობა ყვირილაში. სწორედ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ყვირილის მცხოვრებნი უაბანობის გამო. ყვირილაში იმდენი მცხოვრებია, რომ აბანოს კარგი შემოსავალი ექმნება, თუ კი ვინმე იკისრებს და მით გააბედნიერებს ყვირილის მცხოვრებთ. განა ადვილი საქმეა ყვირილელისათვის, რომ ქუთაისში ან სხვაგან წავიდეს საბანაოდ? ზაფხულში კიდევ ჰო,—მდინარეში იბანავებენ, მაგრამ ზამთარში რაღა ჰქნან? კარგი იქნება, რომ ვინმე კერძო კაცი მაინც იკისრებდეს ყვირილაში აბანოს მოწყობას.

## ქუთაისის ახალი ამბები

თავ. დ. კ. მიქელაძის საქმე. ეს მესამე თუ მეოთხეჯერაა, რაც ინიშნება ქუთაისის ოლქის სასამართლოში განსახილველად საქმე თ. დათიკო კ. მიქელაძისა, რომელსაც ბოქაულ მახარაძის მოქმედებით შეურაცხყოფა ჰბრალდება, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზთა გამო აქამდე ველარ გაირჩა. 3 ნოემბერს ოლქის სასამართლო შეუდგა ამ საქმის გარჩევას. საქმის გარემოება შემდეგია: 7 თებერვალს ამა წლისა, საღამოს შვიდ საათზე, ბოქაულ მახარაძისთვის შეუტყობინებია პოლიციელ ლორიას, რომ თავადთ ჩხეიძესა და აკაკი ლორთქიფანიძეს ქალაქის ბაღში ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთი დასჭრესო. როცა ბოქაული ადგილობრივ მისულა და ცნობებს ჰკრებდა მომხდარ ჩხუბის შესახებ, ამ დროს უკანიდგან მოსულა თ. მიქელაძე და დაუძახნია: «გზა მომეციო». ბოქაულ მახარაძეს უკან დაუწევია და უთქვამს: «აგერა გზა და გაიარეთო». ამის პასუხად ბოქაულ მახარაძესთვის მიქელაძეს სილა გაუწნავს ლოყაში. მახარაძის ჩვენებით, ეს უსიამოვნება იმას გამოუწვევია, რომ წარსულ წელს მისისავე შეურაცხყოფისათვის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია და ასი მანეთით დაუჯარიმებია თ. მიქელაძე.

თ. მიქელაძემ თავი დამნაშავედ იცნო, მაგრამ განაცხადა, რომ ბოქაულმა მუჯლუგუნი მკრა და ამით შეურაცხყოფა მომაყენა, რამაც მაიძულა სილა გამერტყაო. მოწ. თვით ბოქაულმა მახარაძემ ისე აჩვენა, როგორც ზემოთაა აღწერილი, მხოლოდ სთქვა, რომ შარშან იყო ეს ამბავი; კარგად არ მახსოვსო.

მოწმე პოლიციელმა ი. საყვარელიძემაც ისე აჩვენა, როგორც ბოქაულმა,—როდის მოხდა ეს ამბავი, არ მახსოვსო, მგონი შარშან იყოო. როცა ეს შეტაკება მოხდა, ცნობები მანამდის ჰქონდა შეკრებილი ბოქაულსაო. მოწ. მდივანმა სთქვა: როცა მიქელაძემ სთხოვა ბოქაულს, გზა მომეციო, ბოქაულმა უთხრა: «სად მოძვრები აქეთკენო» და ხელი ჰკრა ტალახიან გზისაკენ; მაშინ მიქელაძემ სილა გაარტყაო. მოწმეებმა ნ. ლორთქიფანიძემ და აგიაშვილმაც ასევე უჩვენეს.

ბრალმდებლის ამხანაგმა ნაზაროვმა ითხოვა, რაც შეიძლება მეტი სასჯელი გადაეწყვიტათ დამნაშავისათვის.

დამნაშავის დამცველმა, ნაფიცმა ვექილმა თავ. მ. გ. ფაღავამ სთქვა: ის სასჯელი, რომელიც საბრალმდებლო ოქმით მოელის თ. მიქელაძეს, არავითარს შემთხვევაში არ შეიძლება მიესაჯოს ბრალდებულს, ერთი იმიტომ, რომ ბოქაული თ. მიქელაძის მიმართ არავითარ სამსახურს არ ასრულებდა და საზოგადოთაც მას თავისი საქმე მაშინ, როცა ეს შეტაკება მოჰხდა, გათავებული ჰქონდა, როგორც ეს თვით პოლიციელის საყვარელიძის ჩვენებიდანაც სჩანს. მისს სრულებით გამართლებას არ მოველი, მაგრამ ვსთხოვ მოსამართლეებს, მცირე სასჯელი გადაუწყვიტონ დამნაშავეს.

სასასამართლომ ცოტა ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც თავ. დავ. მიქელაძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა ორის თვით ციხეში დაპატიმრება ღირსებათა ჩამოურთმევლად.

*** თავის სურვილით ომში წასვლა. 2 ნოემბერს ქუთაისიდგან შორეულ აღმოსავლეთს გაემგზავრა ომში მონაწილეობის მისაღებად, თავისის სურვილითა და ხარჯით, ახალი პრაპორჩიკი მილიციისა ალ. ბ. გაბაშვილი.

*** თავის მოკვლა. ქუთაისს ახლო მდებარე სოფ. ბაკის უბანში თავი მოიკლა ამ სოფლის მცხოვრებმა, 60 წლის მოხუცმა დავით ჩარკვიანმა. საწყალს თურმე მუცელა დაჰმართვია და ექიმები რამდენსამე დღეს სწამლობდნენ, მაგრამ ვერა უშველიათ-რა. ამ გარემოებას აუძულებია თურმე საწყალი, თავი მოეკლა. ამბობენ აგრეთვე, ვითომც სიძეს მზითევში სახლი წაერთმიოს და ამას გამოეწვიოს თავის მოკვლა. განსვენებულს დარჩა ცოლშვილი.

## საჭირო დამატება.

ჩემს წერილს თავ. აკაკის თანხის შედგენის შესახებ უნდა დავუმატო შემდეგი:.

ქართველთა საზოგადოების გავლენიანმა წარმომადგენელებმა განაცხადეს ის აზრი, რომ უკეთესი იქმნება ყოველგვარი შეწირულება ხსენებულის თანხის შესადგენად იგზავნებოდეს წერა-კითხვის საზოგადოების სახელობაზე, რომლის ხელშია ყველა სხვა საზოგადოებრივი თანხებიცაო. რადგანაც ეს აზრი შეიწყნარა თავ. აკაკიმაც, რომელიც ამ საქმეში წარმოადგენს უმაღლესს ინსტანციას, ამის გამო ყველა ქართველმა და დაწესებულებამ თვისის შეწირულ ფულით უნდა მიჰმართოს გამგეობას «წერა-კითხვის საზოგადოებისას».

კერძო კომიტეტი, ჩემ მიერ დასახელებული და აკაკის მიერ მიმჩნეული, დარჩება და იმოქმედებს, როგორც დამხმარებელი ორგანო გამგეობისა.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სხვა ჩვენებურს ქალაქებსა და დაბებშიაც დაარსდება ამისთანა კერძო დამხმარებელი კომიტეტები და ესენი ყოველ ღონი-ძიებას იხმარებენ, რომ მომავალ თანხის რაოდენობა შეესაბამებოდეს დანიშნულების სიდიდესა.

იაკობ გოგებაშვილი.

## როგორ მოკვდა ზ. ანტონოვი?

(მასალა ბიოგრაფიისათვის).

მგონია ყველასათვის საიტერესო უნდა იყოს გაგება იმ ზურაბ ანტონოვის წარსულისა, რომელმაც დასწერა «მზის დაბნელება», «მე მინდა კნეინა გავხდე», «ქმარი ხუთის ცოლისა», «ქოროღლი» და სხვა.

ეს ზურაბ ანტონოვი გახლდათ გორელი მეჩითიშვილი, მაგრამ ამ პიესების დაწერის შემდეგ შეიცვალა გვარი ანტონოვათ. ზ. ანტონოვი ვარანცოვის დროს ორმოცდა ათ წლამდის მიღწეული კაცი იყო, დიდი მხნე და დიდის მამულის პატრონი. გორს რომ მიუახლოვდებით და მდინარე ტანის ხიდს გავა მატარებელი, იქიდამ დაწყებული გორის ვაგზლამდის და შემდეგ მტკვრის ხიდამდის, ამას ეკუთვნოდა. ამ ადგილებზედ ახლა გაშენებულია სახლები და დუქნები. სოფელ ხიდისთავშიაც საკმაო ზვრები ჰქონდა.

ზ. ანტონოვმა რუსული ენა საკმაოდ იცოდა, ტან-დაბალი კაცი იყო, შავგვრემანი, ქართულ კაბას იცვამდა და ნეხურ ვიწრო, მრგვალ-ქუსლიან ქოშებით დადიოდა. ვისაც კი ქართულად თხოვნა-სიგელის დაწერა უნდოდა, ან სხვა რამ პირობის ქაღალდისა, ზურაბისათვის უნდა მიემართნათ.

ეს ის დრო იყო, როდესაც განსვენებულმა გიორგი ერისთავმა ქართული თეატრი დააწესა ტფილისში. ანტონოვი თითქმის მარჯვენა ხელი იყო ერისთავისა; იმასთან ერთად მოღვაწეობდა ქართულის თეატრისათვის; სახელი გაითქვა ქართველებში და ვარანცოვიც პირადად იცნობდა. უცბად ხმა გავარდა ქალაქში, რომ ანტონოვი გაცოფიანდა და სამ დღის განმავლობაში გარდაიცვალაო.

ზემოდ მოგახსენეთ, რომ ხიდისთავში საკმაო მამული ჰქონდა-მეთქი. ამ მამულების ნაწილი სყიდვით თუ სხვაფრივ შეიძინა ისევ გორელმა «მირონ გრიგორიჩ» ამიროვმა. არავინ იცის, რა მიზეზით, მხოლოდ დიდი უსიამოვნობა ჰქონდათ ამიროვსა და ანტონოვს. გაუთავებელი გახდა მათი დავა.

ამიროვი გავლენიანი კაცი იყო. პროკურორის თანამდებობა ეჭირა ქალაქში; დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა. უცნაურ ტანისამოსს იცვამდა, დიდს კიზიროკს იკეთებდა ქუდზედ და გრძელის შინელით დადიოდა; ანტონოვს კომედია ჰქონდა დაწერილი «კიზიროკი», მაგრამ დაიკარგა. კომედიაში ამიროვი იყო დასურათებულიო.

ანტონოვს თურმე ერთი ხელ-წერილი წარედგინა იმ დროს სასამართლოში. ამ ხელ-წერილის ძალით, ხიდის-თავის ერთ-ერთი ზვარი ამიროვმა უკან უნდა დამიბრუნოსო. როდესაც სასამართლომ ამიროვი მიიწვია და წერილი აჩვენა, თურმე გაუკვირდა, მე არ მიმიცია ეს ხელწერილი, მაგრამ ისე მოხერხებით არის ჩემი ხელი პირობაზედ მოწერილი, რომ უარის თქმა არ შემიძლიანო. საქმე ზურაბ ანტონოვმა მოიგო.

არ გასულა დიდი ხანი ამას შემდეგ, რომ ანტონოვი მეხუთე «უჩასტკის» ერთ-ერთ ქუჩის სარდაფში ჩაეგდოთ და იქა ჰყოლოდათ დამწყვდეული რამდენიმე დღე მშიერ-მწყურვალი. სიმრაზითა და შიმშილით ისე დასუსტებულიყო, რომ სულიც განუტევა.

ეს ამბავი გადმოცემულია პირდაპირ ანტონოვის ძმისაგან, რომელიც, სულ ხუთი წელიწადია, რაც გარდაიცვალა. ხალხშიაც იყო ხმა, რომ ზ. ანტონოვი მტრისგან იყო მოხერხებით სარდაფში ჩაგდებული და შიმშილით მოკვდა იქაო.

ასე ტრაგიკულად გათავდა თურმე იმ კაცის სიცოცხლე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულს თეატრს.

ალ. თუთაევი.

## ლ ე ქ ს ე ბ ი

### მებრძოლი.

(დ. მაჩხანელის ლექსი, სიკვდილის შემდეგ დარჩენილი)

სიმართლის თქმისთვის ის ყველასაგან
განკიცხული და მოძულებული,
ცა-ქვეყნის გამჩენს ევედრებოდა,
ღვთის-მშობლის ხატ-წინ დაჩოქებული:
ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო,
მომეცი გულის ძლიერებაო
და ბოროტ-სულთა შესამუსრავად
ცეცხლ-ნავთის მდენი მეტყველებაო,
რომ გულ-ძლიერმა ვიბრძოლო მედგრად,
მოვკლა კეთილის მავნე მტერიო,
ცეცხლი მოუდგა მისს გულს ღვარძლიანს
და გავაბნიო, ვითა მტვერიო!..

## ლექსისებური.

### ოჯახიდან გასულს.

მშვიდობით, ჩემო მზეო, ჩემო სიცოცხლევ! მშვიდობით! გემშვიდობები და თან ვეთხოვები ჩემს სიცოცხლეს. ეჭვი არ არის—დამივიწყებ და სხვასთან ჰპოვებ ბედნიერებას. მე კი, რა გაეწყობა, შევურიგდები ჩემს ბედის წერას და მაინც კვლავინდებურად მეყვარები — შენი ვიქნები სამარადისოდ.

ხოლო თუ ვინიცობაა გაგიცრუვდნენ ტკბილნი იმედნი, ოცნების ყვავილნი დაგესუსხნენ და ქვეყნად დარჩე მარტოდ მარტო, ტანჯვა-ვაებით შეპყრობილი, —დამიძახე! მყისვე, სწრაფად ვით ელვარება, მოგევლინები!.. არ მივხედავ ჩემს მწარე წყენას, შენებურად ფიცს არ გავტეხ, არც დაგივიწყებ და... გჯეროდეს, ბედნიერება, სიხარული და ნეტარება კვლავ დამყარდება ჩვენს ჭერ-ქვეშ, სადაც შენის წასვლის შემდეგ კერა გაცივდა და შეწყდა სიცოცხლე...

ტასიაშვილი.

## ბრძნული აზრები

(ბედნიერების შესახებ)

ბედნიერება ხანგრძლივი სიამოვნებაა. (პ. დიტრიხ).

ალთქმის ქვეყანა ყოველთვის მთას იქით იმყოფება. (ვ. ირვინგ).

დაუნდობლობა—აი ქურდები! ბოროტება—აი კაცის მკვლელები! (ვ. ჰიუგო).

ბედნიერება ისეთი თანხაა, რომელიც გონივრულის მოვლით თან და თან იზრდება და მატულობს. (სანდო).

რწმენამ, იმედმა და სიყვარულმა ერთსა და იმავე წუთს იგრძნო, რომ დროა სამთავემ შეექმნათ რაიმე ჩვენი შესაფერიო; საქმეს შეუდგნენ და მართლაც შექმნეს საოცნებო და მშვენიერი რამ—მოთმინება. (გიოტე).

ყაირათობა შრომაში და სიყვარული შრომისადმი—ორი უდიდესი ბედნიერებაა კაცობრიობის ცხოვრებაში. (ფრანკლინი).

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## ქართველთა შორის.

უბედურნი.—რა საშინელებაა!—მიზეზი და შედეგი.—რაშია ხსნა?

ერთობ გულუბრყვილო ხალხი ვართ მკითხველიცა და მწერლებიც. დღეში ათი სხვა-და-სხვა ამბავი უნდა გავიგოთ, ყოველ ამბის შესახებ უნდა გამოვთქვათ სათანადო მწუხარება ანუ ზოგჯერ სიხარულიც, ასე დავაღამოთ დღე, რათა ახლა მეორე დილიდამ საღამომდე კვლავ ვაძლიოთ სმენა სხვა ამბებს, კვლავ მივცეთ მასალა ჩვენს გულსა და გრძნობას, კვლავ დავაღამოთ დღე და ვიყვნეთ ჩვენთვის ამ ყოფაში ხელგაუნძრევლად, ამბების ბოხჩებათ. ძალიან იშვიათი შემთხვევა უნდა იყოს, რომ ჩავუკვირდეთ ამა თუ იმ ამბის მნიშვნელობას, მის მოვლენის მიზეზს, მის აუცილებელ შედეგს და ერთის ამბის დამოკიდებულებას მეორესთან. მეტადრე ეს დამოკიდებულებაა ჩვენთვის მიუწდომელი, იმიტომ კი არა, რომ არ შეგვეძლოს. თქვენც არ მომიკვდეთ! იმიტომ რომ ჩვეულნი არ გახლავართ ფიქრს და არც ხალისი გვაქვს ჩავუფიქრდეთ, რადგან მაინც, სულ ერთია, ჩვენს ნაფიქრს ფასი არა აქვს, არავინ რად ჩააგდებს, ზედაც არავინ შეჰხედავს და, თუ ვინმე შეჰხედა, ვაი ჩვენის ტყავის ბრალი—ძვირად დაგვისმენ ამ შეხედვას!..

აგერ, კახეთის მეთვალყურე მოგვითხრობს, რომ სოფელ სატიალოში სეტყვამ ერთიან გაატიალა ვენახები. შარშან ნაკლები მოსავალი ჰქონდა ხალხს, ველოდებოდით, ეგება წელს მაინც ამოვისუნთქოთ, ვალები მაინც გავისტუმროთ და უვალოდ შევახწიოთ თავი მეორე წლის მოსავალსაო,—ის კი არა თუ, ვალების გასტუმრებას ვინღა ჩივის, ნეტა სულები შევახწიოთო. მერე ამ სატიალოს არავითარი სხვა სარჩო არა აბადია რა, გარდა ვაზისა. დარჩა სამასი კომლი სოფელი ულუკმაპუროდ და პატრონი კი არავინ არის, თანაც მღვდელს უნდა გაუძღვე, სახელმწიფო ხარჯი გაისტუმრო, გზირი არ განირისხო, «სტრაჟნიკი» მოიმადლიერო, მკვდარი გაასპატიოსნო, ცოცხალს გაუტკბო სიცოცხლე. გულსაკლავ სანახაობას წარმოიდგენს სოფელი სატიალო!..

წავიკითხეთ ეს სამწუხარო ამბავი, გულები დაგვწყდა უბედურთა ბედით, მაგრამ შემდეგ ხანგრძლივის, წრფელის ოხვრა-გმინვისა მივმართეთ გურიის მიმომხილველს, რომელიც მოგვითხრობს სოფელ არაშენდას მწუხარების ისტორიას. ჩვენი ერთად-ერთი იმედი იყო წლევანდელი მოსავალი. არაშენდა მხოლოდ სიმინდს ეტანება. კარგი პირიც უჩანდა ყანას. აგერ სამი წელი შესრულდა, რაც ჩვენმა გლეხმა ვერ იოხა გული ყანის მკით. ეხლა ხომ ჩავარდა წვასა და დაგვაში, არსაიდგან ხსნა, არსაით შველა! რამდენი ქორწილი გადაიდვა საკვლავიოთ, რადგან უქონლობა ხელს არ უწყობდა; რამდენი ვალი დარჩა გაუსტუმრებელი და სარგებლისაგან გაორკეცდა! მთელი ჩვენი იმედი დამყარებული იყო წლევანდელს მოსავალზედ, მაგრამ რა საშინლად გაგვიმტყუნდა იმედი? ნეტა ისეთი კაი პირი მაინც არა ჰქონოდა იმ დალოცვილ ყანებს. გარშემო ყველგან წვიმდა, არაშენდაში კი მზეს სულ ფერხული ჰქონდა გამართული. გვალვამ ერთიან ამოფხვნა სიმინდის ხნულები. დავრჩით ხელცარიელნი. არ ვიცით, რა პასუხი გავცეთ მღვდელს, ერს, ხაზინას და მეტადრე რითი მოვიგოთ გული ამ დაუნდობელ «სტრაჟნიკებისა». ოთხასი კომლი გლეხი დარჩა სრულებით უმწეოთ...

ამ ამბავმა ხომ სულ გულები დაგვწყვიტა. წრფელი თანაგრძნობა იყო პასუხი ამ უბედურობის ამოკითხვისა. როცა ვიოხეთ გული, ახლა სხვა კუთხეების ვითარებას შევუდექით იმავ გულწრფელობით. ქართველი კაცი ერთობ გულჩვილია და თანაგრძნობას არ დაიშურებს მტრისათვისაც კი და—აბა, უბედურ მეზობლებისთვის რაღა იქმნება!..

* *
*

ხოლო ასეთი ამბები თუ ცარიელს თანაგრძნობას აღვიძებენ ჩვენს გულში, მეორე ჯურის ამბები გვაღელვებს და გვარისხებს. მაშინათვე ამოვიდგამთ ხოლმე ენას და ვუზიარებთ ერთმანეთს. შენ ჩემთან გამორბიხარ, რომ შემატყობინო აშლილი დარდები, მე შენკენ მოვისწრაფვი ამავე განზრახვით.

——კაცო, გაიგე, რა საშინელება დატრიალებულა სოფელ საპატარძლოში? თურმე გუშინწინ, საღამო ხანზედ, საწყალ ტიმოთე მღვდელს შესცვივნია სახლში ხუთი თავითფეხამდე შეიარაღებული ყაჩაღი. ტიმოთე წამოწოლილი ყოფილა ტახტზედ. ყაჩაღებს უშიშვლიათ ხანჯლები და მიუბჯენიათ ზედ გულზე: «ჩქარა ფული, თორემ გაგაქრეთო»—შეუძახნიათ. საწყალს უჩვენებია ადგილი, სადაც ჰქონია შენახული თავისი ზინეთი, «შავის დღის» სარჩო. ერთი ყაჩაღთაგანი უცვნია კიდეც. აბა, თუ მაგრეაო, ყაჩაღებს გამოუჭრიათ ყელი, ფოფოდიასთვის გაუღადრიათ გული, მერე ერთის წლის ბაშვი კედელზედ მიუნარცხებიათ, თვრამეტის წლის ქალიშვილი გაუპატიურებიათ და გაქცეულან. შეჩვენებულნი სოფელ სატიალოდამ ყოფილან. დარაჯი კი იქვე კედელთან ერთს ბებერ უხელო მთხოვარა ეყოყოჩებოდა, ვიდრე შაურიანი არ დასტყუვა არყის დასალევათაო. რა საშინელებაა!... მერე არ იტყვი, რა წაუღიათ? - რაღაც ძონძებში გახვეული 17 მანეთი თეთრი ფული და სამ აბაზ-უზალთუნი და ოთხი კაპეიკი შავი ფული. .

— ეგ რათ გინდა, ქალაქ სასიძოში უფრო საშინელი ამბავი არ ჩაუდენიათ წყეულ ყაჩაღებს! ერთი ქვრივი დედაკაცი ყოფილა, ორი შვილი ჰყოლია, ნევსის წვრით გამოუზრდია საწყალსა და მერე სწავლაში მიუცია. ბავშვებმა თურმე საღამოთი გაათავეს თავიანთი გაკვეთილი, დიდხანს ელოდნენ დედას, ითამაშეს, დაიღალნენ და მერე დაწვნენ დასაძინებლათ. ამ დროს მოესმათ საზარელი წივილ-კივილი. გამოცვივდენენ და რა წარმოუდგა მათს შეშინებულ თვალს! თორმეტი ყაჩაღი შემოჰხვევნია საცოდავ დედას, წაუქცევიათ, გაუხდიათ ტანთსაცმელი და, რადგან ეცნო ერთი ყაჩაღთაგანი, სასიკვდილოთ დაუჭრიათ, სისხლში ცურაობს დედაკაცი. შვილები მისცვივდნენ დედას საშველად, მაგრამ ავაზაკებმა ისინიც ზედ წააკლეს და გაიქცნენ. საზიზღარნი სოფელ არაშენდიდამა ყოფილან. დარაჯი იქვე ახლოს იყო, მაგრამ ვერ მოიცალა საშველად, რადგან ერთს მეფაიტონეს ჭკუას ასწავლიდა. რა საშინელებაა!..

* *
*

მართლაც და საშინელებაა! ვკითხულობთ ამისთანა ველურ მოქმედებათა ამბებს და ვერ გამოვსულვართ საკვირველებიდამ. მერე განა ერთი და ორია! ქართლი გინდა, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სამურზაყანო, სვანეთი, ფშავ ხევსურეთი, ზაქათალა თუ რომელი, სულ ერთია, ყველგან ერთი და იგივე, ყველგან საშინელება, უკიდურესობა. არც შინა ხარ მოსვენებული, არც გარეთ, არც სოფელში, არც ქალაქს, არც სახლში და არც გზაში. არ იცი, განათლებულ ქვეყანაში ხარ თუ გარს მხოლოდ გოტენტოტები გახვევიან. არა გაქვსრა უზრუნველ ყოფილი: არც შენი სარჩო-საბადებელი, არც სახლი და კარი, არც ცოლი და შვილი, არც საკუთარი სიცოცხლე. გაშტერებული შეჰყურებ სოფლის ტრიალს, ჰღელავ, თავს კედელს ახლი და მოსთქვამ:

## მასართობი

ტფილისის ქართულ სცენაზე ამ სამის წლის წინად არდგენდნენ ვ. გუნიას ისტ. დრამას გურულების ცხოვრებიდან «ორ გმირს». ერთმა მსახიობმა — რომელიც მთავარ როლს თამაშობდა და რომელსაც როლის უცოდინარობა ჩვეულებად აქვს გადაქცეული,—ასეთი ლექსი წამოისროლა: «მუხლ-ცრემლიანი თვალ-მოდრეკით გემუდარები», უნდა ეთქვა კი — თვალ-ცრემლიანი მუხლ - მოდრეკით გემუდარებით.

(რეზონიერის ჩაწერილი).

## რუსეთი

**სამგზავრო და საბარგო ტარიფის შეცვლა.** 29 ოკდომბერს პეტერბურგში სხდომა ჰქონდა რკინის გზის უმთავრესს გამგეობის კერძო კომისიას და გზათა წარმომადგენელთ, რომელთაც უნდა განეხილათ აწ არსებული სამგზავრო და საბარგო ტარიფი. კრებას თავმჯდომარეობდა ე. ციგლერი რომელმაც განაცხადა: ამას წინად სახელმწიფო საბჭოში აღძრეს საკითხი იმის შესახებ, რომ არსებული ტარიფი გადიდებულ იქმნას; ამ უკანასკნელს ხანებში საბარგო და სამგზავრო მატარებლების ოპერაციებს ზარალის - მეტი არაფერი მოაქვს და მისი შემოსავალი თვალსაჩინოდ დაეცა. მეტადრე საგრძნობელს ზარალს იძლევა, როგორც ეს საგანგებოდ დანიშნულმა კომისიამ აღმოაჩინა, პირველი და მეორე კლასი. ამ საგნის სავსებით გამოსარკვევად საფინანსო მინისტრმა განკანგულება მოახდინა, რომ სპეციალურად განეხილათ კომისიებს ეს საკითხი და აგრეთვე გამოითქვა ის აზრი, შეიძლება თუ არა ტარიფის გადიდება, რომ ამით მოუმატონ შემოსავალი. ამ ჟამად ასეთი პროპორცია არსებობს I, II და III კლასების ტარიფებში: $1 : 1\frac{1}{2} : 2\frac{1}{2}$. სასურველი იქმნებოდა, რომ ეს პროპორცია ასე შეიცვლებოდეს: $1 : 2 : 3$, ე. ი. მეორე კლასის ფასი ასწიონ 33% და I კლასის—20%.

კრებას მეტად ცხარე ხასიათი ჰქონდა. თავდაპირველად კერძო გზების წარმომადგენელმა ბ-ნმა დუმპიცკიმ ილაპარაკა და თავის სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ ყოვლად შეუძლებელია ზარალი რომელისამე კლასის ტარიფს მივაწეროთ და ამისთვის მისი გადიდება მოვინდომოთ. საქმე იმაშია, რომ პირველი და მეორე კლასის ტარიფები არ შეესაბამება ნამდვილს მოთხოვნილებას, ფასი უმრავლესობისათვის მიუწვდომელია და, რა გასაკვირველია, რომ მისი წარმოება შესაფერს შემოსავალს არ იძლეოდეს. სცადეთ, აბა, ტარიფის გადიდება და შემოსავალი, გარწმუნებთ, უფრო საგრძნობლად იკლებს. შემცდარი აზრია, ვითომც რუსეთის რკინის გზებზე მოგზაურობა უფრო იაფი იყოს, ვიდრე საზღვარ-გარედ. გერმანიის ტარიფები ბევრად უფრო იაფია ჩვენსაზე. ბოლოს დუმპიცკიმ სთქვა, რომ ჩვენმა რკინის გზის გამგეობამ დამავალა განვაცხადო სურვილი, რომ ეხლანდელი ტარიფი ხელ-უხლებელი დარჩესო.

ბევრად უფრო ვრცლად ილაპარაკა ამავე საგანზე კავკავის რკინის გზის წარმომადგენელმა მ. კერბედზმა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მგზავრთა მისვლა-მოსვლას სრულიადაც არ მოაქვს ზარალი. როდესაც ასეთს ზარალზე ლაპარაკობენ, ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ამ განყოფილების ანგარიშში შეცდომით ათავსებენ რკინის გზის წარმოების ისეთს საგნებს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მგზავრთა მიმოსვლასთან. მაგ., გზებს უფასოდ გადააქვს ფოსტა, რაც წელიწადში თითქმის 20 მილიონი მანეთი ჯდება. ავიწყდებათ აგრეთვე, რომ სრულიად უფასოდ გადაჰყავთ ჯარი და ხან-და-ხან მატარებელი უფასო მსახურებით გატენილი მიდის ამა თუ იმ საქმის ასასრულებლად. გამოაკელით მგზავრთა მატარებლის საერთო ზარალს ამათზედ გაწერილი ხარჯი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ ოპერაციას ზარალი სრულიად არ მაქვს და სავსებით ანაზღაურებს გაწეულს ხარჯს. სულ სხვაა, როდესაც ამბობენ, რომ რკინის გზები არ იძლევა იმ შემოსავალს, რომლის მოტანაც მათ შეუძლიანთ და მგზავრთა რიცხვი მცირეაო. ამ უკანასკნელის მიზეზი, ორატორის, აზრით ისაა, რომ არსებული პასპორტის წეს რიგი მეტად უშლის ხელს ხალხის თავისუფალს მოგზაურობას. მოსპეთ პასპორტი და მგზავრთა რიცხვიც თვალსაჩინოდ იმატებს. რაც შეეხება ტარიფს, კერბედზმა სთქვა: პირადად მეც იმ პრინციპებით ვხელმძღვანელობ, რომელსაც მინისტრად ყოფილი ვიტტე ხელმძღვანელობდა: გარდახდეს მგზავრს და საქონელს ის, რის გარდახდევინებაც შეიძლება. ამ პრინციპის მიხედვით ჩვენი რკინის გზები სამგანად აძრობენ ყველას ტყავს და, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, კიდევ უფრო გააძრობენ ტყავს უდანაშაულო კლიენტებს!

ამ რიგად, თითქმის სუყველა წარმომადგენლებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ არსებული ტარიფი დარჩეს შეუცვლელად. უკანასკნელი მსჯელობა ამ მწვავე საგნის შესახებ მეორე დღისათვის გარდაიდო, რასაც თავის დროზე ვაუწყებთ მკითხველებს.

## ნარევი

### მოხერხებული მამა.

როგორც ფრანგული გაზეთი «Maten»-ი გადმოგვცემს, ამას წინად ერთს კურიოზულს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ბაზელში მცხოვრებ კაპიტალისტის სახლში. ეს კაპიტალისტი ქვრივი ყოფილა, სამი გასათხოვარი ქალი ჰყოლია. ერთხელ მან ადგილობრივ გაზეთებში შემდეგი განცხადება მოათავსა: ქალის შერთვა მსურს და გათხოვების მსურველთ ვთხოვ გამომიგზავნონ თავიანთი სურათები და თანაც ნაჩვენები იყოს მისამართში ინიციალებიო. ამ განცხადებას, რასაკვირველია, აუარებელი სურათები და წერილები მოჰყვა, რომელთა შორის კაპიტალისტმა საკუთარ ქალების სურათებიც შეჰნიშნა. მოხერხებულმა მამამაც იმ წამსვე სათითაოდ გასცა მათ პასუხი, დაუნიშნა დღე და ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყვნენ და თვითონაც იმავე დღეს დანიშნულ ადგილისკენ გაემართა. წარმოიდგინეთ საბრალო გასათხოვარ ქალების მდგომარეობა, როდესაც ახალგაზდა სასიძოს ნაცვლად, ოთახში მათივე ჭაღარა-შერეული მამა შემოვიდა და სიცილ-ხარხარით იქვე სავარძელში დაეშო.

## წერილი

### რედაქციის მიმართ.

I

20 სეკდემბერს მე, როგორც როგორც «სანიტართა დასში» მოსამსახურე, სახლეზოებს ვათვალიერებდი განოვის ქუჩაზედ. პირველად შევედი აირუმიანცის სახლის ეზოში, სადაც მოთავსებულია გაზეთ **„Кавк. Листокъ"**-ის სტამბა. ამ სტამბის პატრონია, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ ტფილისის საბჭოს ხმოსანი ბ-ნი ნ. ი. თამამშევი. ეზოდგან წინა-პირველად შევედი იმ ოთახში, სადაც ასოთ-ამწყობნი მუშაობდნენ; იმ დროს ამ ოთახის იატაკი საშინლად ჭუჭყიანი დამხვდა; ალაგ-ალაგ გაფანტული ეყარა ჭუჭყიანი, გასვრილი ძონძები და მჩვრები. შევნიშნე რა ყველა ესე, ზრდილობიანათ მივმართე ასოთ-ამწყობთ და ვუთხარი: ამ საერთო სამუშაო ოთახში რომ სუფთად გემუშავნათ, ურიგო არ იქმნებოდა-მეთქი. ამის შემდეგ ისევ განვაგრძე დათვალიერება ოთახისა. ამ დროს იქვე ბრძანდებოდა ბ-ნი თამამშევი, სკამზედ ჩამომჯდარი. ჩემს დანახვაზედ ბ-ნმა თამამშევმა მომმართა ბატონურის კილოთი და შემომკივლა მკვახედ: «ვინა ხართ... მოიხადეთ ქუდი... ბრიყვო, და დაიკარგეთ აქედგანო»... ამის შემდეგ რაღა ნება მქონდა სხვა ოთახებიც დამეთვალიერებინა?! ავდექი და გამოვბრუნდი უკან. ბ-ნ თამამშევს ყველა ასოთ-ამწყობლებმაც თანაუგრძნეს. გამოვედი თუ არა გარედ, მომაყარეს სიცილ-ხარხარი ამ სიტყვებით: «ქესტ-ქესტო». რაც ვნახე, შევუდგინე ოქმი ბ ნ თამამშევს, წარვუდგინე «სანიტართა აღმასრულებელ კომისიას» და ვსთხოვე წარედგინათ ხსენებული ოქმი, სადაც ჯერ-არს. დღეს, როგორც გავიგე, ოქმი ჯერაც არაა გაგზავნილი სასამართლოში, ხოლო რა მიზეზია, ეს კი აღარ ვიცი...

დავით ბერიძაშვილი.

II

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, მოვახსენო ბ-ნ ფოფხაძეს, რომ თანახმა ვარ, ჩემი წერილები ქლექის შესახებ ცალკე წიგნაკად გამოსცეს. ნება აქვს აგრეთვე გამოსცეს წერილი «ხოლერის შესახებ», რომელიც «ივერიის» რედაქციას გამოვუგზავნე ამას წინად. ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ გამოცემა, რაც შეიძლება, იაფი იყოს. რადგან ამგვარის წერილების შედგენა განვიზრახე, კარგი იქნება, რომ ბ-ნი ფოფხაძე პირადად მე მომმართავდეს ხოლმე და მაცნობებდეს თავის ადრესს. ჩემი ადრესი: თიანეთი. სამაზრო ექიმს ვასილ წერეთელს.

ვასილ წერეთელი.

### „ივერიის ფოსტა"

**თ—დს ვ. ზ. მ—ლს.** თქვენი წერილი და წერილი უგანათლებულესის თავადის, სამეგრელოს უკანასკნელის მთავრის ნიკოლოზისა, დიდის სიამოვნებით გადავიკითხეთ. ვეცდებით, რაც შეიძლება, მალე დავბეჭდოთ ორივე წერილი, სავსე საყოველთაო ღრმა ინტერესებით.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

5 ნოემბერი.

**მუკდენი**, 3 ნოემბერი (რეიტერი). ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლა შესდგა. სჩანს, ვერც ერთმა მხარემ ვერ შესძლო ერთმანეთის გამოდევნა სიმაგრეებიდან. ყინვების გამო საპიორები ვერა მუშაობენ, ამიტომ სამხედრო მოქმედებანი შესწყდება ზამთრის განმავლობაში. წყლისათვის ჯარის-კაცნი უიარაღოდ მოდიან, რადგანაც ერთმანეთში შეთანახმდნენ, რომ არ ესროლონ წყალზე მიმსვლელ ჯარის-კაცებს. ხანდისხან ორთავ მებრძოლთა ჯარის-კაცები ერთმანერთს პაპიროსებს სთავაზობენ ხოლმე, სანოვაგეს და დანებსა. ბანაკების გარემო მდებარე ადგილებში სანოვაგისა და შეშის შოვნა შეუძლებელია, ამიტომ შახედან მიაქვთ.—ჩინეთის იმპერატორის დედის დაბადების დღის გამო, გუშინ ღამ ქუჩები გიჩირაღდნებული იყო, მაგრამ ქუჩებზე ხალხი არ იყო. თათრის გენერალი სინჩი და ჩინეთის ყველა დიდებულნი კუროპატკინთან იყვნენ მიწვეულნი კონფუცის ტაძარში სადილად.—იაპონელნი აქუჩებენ ჯარებს რუსის მარჯვენა ლაშქრის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ და აგრეთვე შუბლის ჯარის წინააღმდეგაც. რუსებმა თავისი პოზიციები გააძლიერეს.

**პარიჟი**, 5 ნოემბერი. «ვარიაგის» მეზღვაურნი მოვიდნენ პარიჟს. იმათ მიიღებს რუსის ელჩი, რომელსაც თბილი ტანისამოსი სთხოვენ.

**ფაკებიერი**. (ლანგელანდი). რუსის ესკადრის დამატებითი რაზმი დილით მოვიდა აქ და გაჩერდა კანდელთან.

**ჩიფუ**. (რეიტერი). მეზღვაურნი «რასტოროპნისა» შეივრდომა კრეისერმა „ხაიუნგმა" და გადასცა თავისი იარაღი. მეზღვაურნი კრეისერზე დარჩებიან.

**ვილნა**. ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისაგან გენერალ-ადიუტანტმა გრიპენბერგმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „აკურთხოს უფალმან გზა თქვენი და შეგეწიოს ბრწყინვალედ თქვენი მძიმე მოვალეობა. ფიქრებით თქვენთან ვარ და ვიზიარებ თქვენს დარდს სახლობასთან მოშორებით. იმედი მაქვს, რომ თქვენები მორჩებოდნენ. მარიამი".

**მუკდენი**. (საკ. კორესპ.). დღეს ზარბაზნის სროლაა მარჯვენა ფრთისაკენ. ინკოუდან მოსული ჩინელნი ამტკიცებენ, რომ იაპონელნი ამ დღეებში აპირებენ იერიშის მოტანას ჩვენი მარჯვენა ფრთეზე დიდის ძალითა; ამისთვის ელიან ახალ-ჯარს, რომელიც ინკოუს გადმოსხდარა.

**ტოკიო**. (რეიტერი). დეპეშით იუწყებიან, იაპონელებმა მიაგნეს ადგილმდებარეობას მეორე არსენალისას და თოფისწამლის საწყობს პორტ-არტუში და ამ ადგილებს დაუწყეს სროლა. ისინი აგანიერებენ სანგრებს, რომ ამ რიგად მიუახლოვონ თავიანთი ზარბაზნები ციხესა. რუსები კვლავინდებურად გამოდიან ციხიდან, თავს ესხმიან იაპონელებს და ხელის ყუმბარებს ესვრიან საპიორებსა.

**ლონდონი**. გოლის საგამომძიებელი კომისია დილით შეიკრიბა. განაცხადეს, მოწმეთა ჩვენება შესახებ ჯილდოს გადახდისა დაზარალებულთათვის უმჯობესი იქმნება ლონდონში მოისმინონო. კომისიას განზრახვა აქვს წარადგინოს პირველი ანგარიში თვით ინციდენტის შესახებ სავაჭრო პალატაში, ხოლო შემდეგ შეადგინოს მეორე ანგარიში ჯილდოს შესახებ.

**გოლლი**. კომისიამ მოიწონა ვაჟკაცობა, რომელიც უბედურობის ღამეს გამოიჩინეს გემების «გოლლის» და «კრენის» მეზღვაურთა. შემდეგ კომისიამ მოისმინა ჩვენის დაჭრილთა და დახოცილ მეზღვაურთა ქონების ყოფა-მდგომარეობის შესახებ. გემების პატრონთა წარმომადგენელმა მოითხოვა, მიეცეს თვითეულ მეთევზეს, რომელიც გადარჩა, მაგრამ ჯან-ლონე შეერყა, 50 გირვანქა სტერლინგი. დიკსონმა, უფროსმა ინჟინერმა „კრენისამ", სთქვა, მე მეშინიან, ვაი თუ ჩემი ჯანმრთელობა აღარ დამიბრუნდესო, და მოითხოვა 1,500 გირვანქა სტერლინგი, მეორე ინჟინერმა — რომელმაც გულის ფიცარი დაუშავდა, მოითხოვა ათასი, რომელიც ხელში და

---

ცა რად არ ჩამოიქცევა,
არ სქდება მთა და ბარია,
უფსკრულმა არ ჩაიყლაპა
ვარსკვლავნი, მზე და მთვარია!

* * *

ამავე დროს არც ისეთი უცოდინარნი გახლავართ არ გვესმოდეს ის ზოგადი ჭეშმარიტება, რომ უმიზეზოთ არა წარმოსდგება რა ქვეყნიერებაზედ, რომ ყოველ მიზეზს თავისი შედეგი მოსდევს, რომ ყოველი ჩვენგანი მოვალეა მოიშოროს მიზეზი და ამით აიცდინოს მავნე შედეგი. მოგეცათ სიცოცხლე, ჩვენ ბევრი ამისთანა ჭეშმარიტება გვქონდეს გაზეპირებული თავის გამოსაჩენათ განათლებულ საზოგადოებაში, მაგრამ რა გამოვიდა, რომ ჭეშმარიტება ჩვენის ტვინის ერთ კუნჭულში გვყავს დაპატიმრებული, ათას გვარ შემაძრწუნებელ ამბებს მეორე კუნჭულში ვატყვევებთ და მათ შორის გაგვივლია მკვიდრი კედელი, რომელიც არ უშვებს ჭეშმარიტების სხივს, რომ რაიმე ნათელი მივაყენოთ ამ უთვალავ ამბებს და მივაგნოთ იმ უხილავ ძაფს, რომლითაც ეს ამბები გადაბმულნი არიან ერთმანეთზედ. ეს კედელი, ჩვენის ხელით ჩადგმული, არის მიზეზი ჩვენის სიბრმავისა. ბევრი ცოდვა აწევს მას კისერზედ, ბევრი ზიანი მოუცია ჩვენთვის და ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება უმთავრეს მიზეზათ ჩვენის ტანჯვა-ვაებისა, ვიდრე ჩვენ თვითონ არ შევიგნებთ მის მავნე ძლიერებას და ჩვენისავე ხელით არ ვეცდებით მის ერთიან დანგრევას. ეხლა კი კარგს ვიზამთ, რომ ცოტათი მაინც გავხვრიტოთ ეს კედელი და მცირე სანათურები გავაკეთოთ, რომ ცოტაოდენი შუქი მივაყენოთ ჩვენის ცხოვრების ყოველდღიურს ამბებს, თორემ მათმა მოსმენამ ლამის გული შეგვიღონოს, ლამის თავზარი დაგვეცეს და ზევით აღარ ავახედოს...

მართლაც და—ჩვენ არ ვიყავით განა, რომ თანაგრძნობის ცრემლს ვაფრქვევდით, როდესაც სოფელ სატიალოს დასეტყვა ამოვიკითხეთ გაზეთში! მაშ რაღათ უნდა შევაჩვენოთ ის უბედური სატიალოელი ყაჩაღები, რომელნიც თავს დაესხნენ უბედურისავე ტიმოთეს სახლობას? განა ჩვენ არ ვიყავით ის კეთილნი არსებანი, რომელთაც გული მოგვიკლა სოფელ არაშენდას სიმინდების გაფუჭებამ და ხალხის ულუკმა-პუროთ დარჩენამ! მაშ რაღათა ვსწყევლით იმ უმწეო არაშენდელ ყაჩაღებს, რომელთაც სადავლოთ ჩაუგდიათ ხელში მხოლოდ უბედური ქვრივი მკერვალი დედა-კაცი? ხომ იქამომდე შეგნებული ხალხი ვართ, რომ გვესმის, რა უკიდურესობამდე შეუძლიან მიიყვანოს ადამიანის არსება სიმშილმა და გაჭირვებამ. განა ერთი და ორი ყოფილა მაგალითი, რომ განათლებული მეზღვაურნი, უსურსათოთ მოწყვეტილნი ხმელეთს, ურთიერთის ლეშსაც კი სჭამენ ხოლმე! ყველა ეს ვიცით, მაგრამ შუქის მიფენა არ შეგვიძლია მოვლენის გასანათლებლად, რადგან ზემოხსენებული კედელი გვიშლის, და ეს ცოდნა არასა გვშველის ცხოვრების მორევში გზის გასარკვევათ.

აბა, გაიხსენეთ, რასა გვწერდა იგივე მიმომხილველი კახეთისა ამ სამის წლის წინათ: «სატიალოს ვენახებში წელს ღვთის თვალი ტრიალებდა. თითო ვაზის ძირს ნახევარი გოდორი ყურძენი ჩამოდიოდა. იმოდენა მაჭარი მოგვივიდა, რომ სხვა სოფლების ქვევრებში თუ შევინახავთ ღვინოს, რადგან ჩვენი «ქიაურელები» აღარა გვყოფნის. ხალხი მეტად გულ-უხვობს. გარმიანელსაც კი პირზედ ჰკოცნის და სახლში ეპატიჟება პატივის საცემლათ. სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულია იგი. არავითარი სიკეთე არ ეუცხოვება და სხვ.

ასეთივე ბედნიერება იხატებოდა გურიის მეთვალყურის მიერ აღწერილ სოფელ არაშენდას ყოფა-ცხოვრებაში, როდესაც სიმინდის ყანები თავმომწონედ ულიმოდნენ გახარებულ გლეხებს. არაშენდელელთა თავაზიანობა, რაინდობა, გულუხვობა, შინაურთა და გარეულთა პატივის ცემა გვხიბლავდა მეთვალყურის მადლიან სურათით.

რამ შესცვალა სატიალოსა და ან არაშენდას ხალხის გული, მისი ზნეობრივი სიტურფე ამ სამის წლის განმავლობაში? რა მოჰხდა ისეთი, რომ ხალხი ერთობ გამოსცვალა და საზიზღარ ყაჩალობაზედ გააწყსა? — არაფერი, გარდა უმწეობისა და სიმშილისა.

* * *

არა ვართ ჩვეულნი ამა თუ იმ შედეგს მოვუნახოთ მიზეზი და ვეცადოთ უკანასკნელის დათრგუნვა. ჩვენ უფრო თვით შედეგებს გავუმკლავდებით ხოლმე, და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ჩვენი ბრძოლა ასე წააგავს დონკიხოტის სასაცილო ბრძოლას ქარის წისქვილებთან. ჩვენ ავდექით და საეროზო ხარჯიდან მილიონები გადავდეთ პოლიციის გასაძლიერებლათ. გვეგონა, რომ რაკი ყოველ ათ კაცს მივაჩემებთ თითო შეიარაღებულ დარაჯს, ყაჩაღობა სრულებით აღიგვება ქვეყნის პირიდამაო. ის კი არა თუ, გამოცდილება აშკარად გვაჩვენებს, რომ თითო კაცს ათი დარაჯიც ვერას უზამს, რადგან ყაჩაღის წამაქეზებელი ძალა არის საშინელი მოთხოვნილება ბუნებისა—სიმწვავე დამშეულის კუჭისა. ამ სიმწვავეს მოერევა მხოლოდ ლუკმა პური ანუ სიკვდილი. სხვა არავითარი ღონე არ მოიპოვება დედამიწის ზურგზედ. ჯოხით, მათრახით და თოფით რომ შეიძლებოდეს ცარიელის კუჭის დაკმაყოფილება, სიცოცხლე გქონდეთ, ჩვენში დამშეული აღარავინ იქმნებოდა, აღარავინ დაადგებოდა ყაჩაღობის გზას, გარდა ქუა-ნაკლებისა და ველურ ხასიათების ადამიანისა, რომელთა რიცხვი ძრიელ მცირეა ჩვენისთანა ძველის კულტურის ხალხში.

ეგეც ერთი ახირებულობააო, მეტყვის მკითხველი. თქვენ გინდათ, რომ დამშეულ სოფლებს წლიური სარჩო დავურიგოთ, და მაშინ აღარ იქმნება ყაჩაღობაო. სადა აქვს იმოდენა შეძლება მთავრობასაო.

დიახ, სწორედ ეგ მინდა, მაგრამ ისე კი არა, როგორც თქვენა ჰფიქრობთ. მთავრობამ რათ უნდა მოაკლოს თავის ხაზინას, რომელსაც განსაზღვრული დანიშნულება აქვს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ თვით ცხოვრებას მიეცეს განათლებული აგებულება, სადაც ადგილობრივი მცოდნე კაცები განაგებენ თავიანთს სამეურნეო ავ-კარგს, თავიანთ ხალხის განათლების საქმეს. ჩვენში მარტო ესეთი ერობაც რომ შემოიღონ, როგორიც დაწესებულია რუსეთის შინაურ გუბერნიებში, დარწმუნებული ვარ, რომ იმისი ნახევარი ფულიც არ დაგვჭირდებოდა ჩვენის ავ-კარგის გამოსაბრუნებლად, რასაც ეხლა იხდის ხალხი დარაჯების შესანახათ. დღეს თუ ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა დაზარალდებოდა, მეორე მხრიდან შევეშველებოდით, სხვა დროს ამას პირველი გადუხდიდა სამაგიეროს, გავიკეთებდით გზებს, ხიდებს, ბოგირებს, საავადმყოფოებს, შემოვიღებდით საუკეთესო მცენარეულობათა და პირუტყვთა გაშენებას, დავაარსებდით ისეთ სკოლებს, სადაც «მუნჯურის მეთოდით» კი არა, ხმამაღლა მეტყველის ენით ვასწავლიდით ჩვენს შვილებს, და ამ სახით ადამიანები ჩავდგებოდით ადამიანურ კალაპოტში. აი, ერთად ერთი სახსარი ხსნისა იმ გარემოებიდამ, რომელშიაც ჩვენ დღეს ვიწურებით ათასის გულსაკლავ ამბების შეტყობითა და ატანით. ნუ თუ ასეთი სურვილი ნიშანია ახირებულობისა, რომელიც ღირსი იყოს რაიმე საყვედურისა? მე კი არა მგონია და, თქვენ იცით.

სხო.

თვალში დაიჭრა, აგრეთვე ათასი მოითხოვა.

**ნიუ-იორკი** (რეიტერი). იაპონიის ახალი სესხი რამდენჯერმე დაიფარა ხელისმოწერითა.

### საღამოს დეპეშები.

6 ნოემბერი.

**ტოკიო.** 4 ნოემბერი. (ბერლინის გზით მიღებული). იაპონიის სამხედრო სამინისტროში ამ გასულს ოთხ კვირაში დიდის მზადებასა და ფაცა-ფუცში არიან. როგორცა სჩანს, სურთ ყოველივე ღონე იღონონ, რომ აუარებელ რუსთა მაშველ ჯარების, რომელნიც ეხლა ბრძოლის ველზედ მიდიან, თანაბარი ჯარი გადმოსხან. ლიაოიანის ბრძოლის აქეთ ბრძოლის ველზედ გაგზავნილ იქმნა მე-7, მე-8, ერთი ფორმოზისა და ორი სარეზერვო დივიზიები. პორტ-არტურიდგან მარშალმა ოიამამ მხოლოდ დროებით მიიშველია ჯარები ამ ჟამად ნოგის იმდენივე ლაშქარი ჰყავს, რამდენიც წინად ჰყავდა, ე. ი. 70,000 კაცამდე შევსებულ იქმნა სათადარიგო ჯარის კაცთა ომში გამოწვევით. როგორც წინად, ეხლაც ალყის შემომრტყმელ ლაშქარში არის 1-ლი, მე-9 და მე-11 დივიზიები, თუმცა ამ დივიზიების ცალკე პოლკებმა მთლად აფიცრების 100 პროცენტი დაჰკარგეს.

**სტამბოლი.** რუზველტის მიწვევაზედ,—მონაწილეობა მიიღეთ ჰაგის სამშვიდობო კონფერენციაშიო, პორტამ უპასუხა, როგორც სხვა დიდი სახელმწიფო გადასწყვეტს, ოსმალეთიც იმ გარდაწყვეტილებით იხელმძღვანელებსო.

**რიაზანი.** კასიმოვის საერობო კრებამ დაადგინა, დაარსდეს ყველა მაზრაში აგრონომის თანამდებობანი და სასოფლო-სამეურნეო საბჭოს ფილიალურ განყოფილებით.

**პარიჟი.** ლუბემ ინახულა იტალიის ქალაქის თვით-მართველობათა და სავაჭრო პალატათა წარმომადგენელნი და სადილის დროს ადღეგრძელა იტალიის მეფე-დედოფალი; ლუბემ სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ ორივე სახელმწიფო—საფრანგეთი და იტალია—უფრო და უფრო უმეგობრდებიან ერთმანეთს.

**ლონდონი.** გამოქვეყნებულია ტექსტი ინგლის-პორტუგალის ხელშეკრულობისა სამედიატორო სასამართლოს თაობაზედ.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატის საღამოს სხდომაზედ დიდი აურ-ზაური მოხდა. პალატაში საქმეთა წარმოებისათვის დროებით წესების შემოღების შესახებ წინადადების შეწყნარების შემდეგ პრეზიდენტმა წაიკითხა მეფის რესკრიპტი, რომლითაც პალატის სხდომები სხვა დროისთვის გადაიდვა.

**ბელგრადი.** სამი ფრაქცია რადიკალებისა შეერთდა იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ კეთდებოდეს მომავალში რკინის გზები. საზოგადო სამუშაოთა მინისტრი იმ აზრისა იყო რომ რკინის გზები გაკეთებულიყო სერბიის საადგილ-მამულო ბანკის თანხითა ამხანაგები და კაბინეტის დანარჩენნი არ დაეთანხმნენ. რაკი უმრავლესობა წინააღმდეგი გაუხდა პროექტს, შესაძლოა მინისტრი სამსახურიდან გადადგესო.

**სტამბოლი.** პორტამ მიიღო მოხსენებანი მაკედონიის სამხედრო მთავრობისაგან, რომ ბერძენთა ჯუფთნი თან და თან რიცხვ-მრავალნი შეიქმნენ მონასტრისა და სალონიკის ვილაიეტშიო. მოხსენებანი ჰმოწმობენ, რომ ბერძენთა მიტროპოლიტი და კონსული მონასტირისა აგენტები მფარველნი არიან ჯუფთებისაო. პორტამ სასტიკი ქაღალდი მისწერა ათინაში იქაურ მთავრობას.

**ორიოლი.** საერო განათლების მინისტრმა დაათვალიერა სასწავლებელნი.

**მოსკოვი,** 5 ნოემბ. მოიყვანეს ტყვე იაპონელნი და ორი კორეველი.

**სოფია.** სეფე სიტყვის პასუხის შესამუშავებლად შესდგა კრება და მინისტრებმა ილაპარაკეს იმ აზრით, რომ გამოერკვიათ შინაგანი და გარეგანი პოლიტიკა ქვეყნისა. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, რომ გარეშე პოლიტიკა ნაციონალური უნდა იყოს, დამყარებული ქვეყნის ძალ-ღონეზედ და უცხო დიდ სახელმწიფოთა თანაგრძნობაზედაო. დღევანდელს პოლიტიკას ის მოჰყვა შემდეგად, რომ მთავარმა ინახულა ინგლისის მეფე და ავსტრიის იმპერატორიო. აგრედვე მოჰყვა შედეგად ოსმალ-ბოლგართა მორიგება, რომლის წყალობითაც ეპატია დანაშაული და მიენიჭა თავისუფლება ათას შეპყრობილსა და განდევნილს ბოლგარსაო. დეპუტატმა ბობჩევმა მოითხოვა, რომ ოფიციალურად გამოცხადდეს ეგ მორიგება და კენჭი ეყაროსო. მინისტრმა უპასუხა, თუმცა კონსტიტუცია გვაქვს, მაინც ეგ მეტი იქნებაო. ბოლგარიას გულითადი მორიგება აქვს ახლა სერბიასთან, მაგრამ ეგ მორიგება არ შეეხება საპოლიტიკო საქმეებს და იმ მდგომარეობას რომელშიაც ან ჩვენი ქვეყანაა და ან სერბიაა მაკედონიის მიმართ. მინისტრმა რუსეთიც ახსენა და სთქვა, რომ მთავრობას კეთილი ურთიერთობა აქვს რუსეთთან და სცდილობს თავისი მოქმედებით შეუფეროს ხმას ჩვენის ერისას, რომელიც მხურვალე თანაგრძნობით ეკიდება რუსებს და ისე ადევნებს თვალ-ყურს შორეულ აღმოსავლეთის საქმეებსაო. შინაგან საქმეთა მინისტრმა განმარტა, როგორ ეკიდება მთავარი დღევანდელს სტამბულოვის მომხრეთაგან შემდგარს სამინისტროს. მთავარმა იცოდა, რომ ასეთი სამინისტრო საჭირო იყო და მთავრობაც შეასრულებს თავის მოვალეობას.

**ყაზანი** საგუბერნიო ერობის შეწირული იყო 300,000 მან. ამას მიემატა შეწირულებანი, რომელიც შეგროვდა 24 სეკდემბრამდე. სულ შესდგა 424,278 მან. ეს ფული, უმაღლესის ბრძანების თანახმად გადაიდო ფლოტის გასაძლიერებლად.

---

დროებით რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

5 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,35 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | $37,52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | $6—7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 92 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | — |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 420 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | $318^1/_2$ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | $270^1/_4$ ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | $87^1/_4$ ნ. გაყ. |

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,**—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი:**

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5–9 „

3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5–8 „

---


# განცხადებანი

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან**

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალისა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათ: ვად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელად მეოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად, და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიაც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ გიორგი დავითის ძის ჯორჯაძის მიერ ხემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის ორი კვიტანცია: ერთი ორას ოცდა თხუთმეტი მანეთისა და მეორე ორას ოცდა შვიდი მან. 50 კ. მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსი თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭვდისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ხემოხსენებულ თ-დ ჯორჯაძეს.

3—6—1.

---

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი:** Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ».

---

# სამკერვალო

## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

## შ ე ს ა კ ე რ ა დ

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელით-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

---

# ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ,** მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу,** მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).

---

# საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

# ღ ა ლ ა ტ ი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

# ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

# ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 „ |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 „ |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 „ |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 „ |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.